„ვამტკიცებ"
ფ/პ ლევან მოსახლიშვილი

„ვამტკიცებ"
სსიპ „საქართველოს კულტურული
მემკვიდრეობის დაცვის
ეროვნული სააგენტო"-ს
გენერალური დირექტორის მოადგილე

---------- ლ.მოსახლიშვილი

---------- პ.დოლიძე

## მიღება-ჩაბარების აქტი

*ქ. თბილისი* 27.12 *2016*

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ, სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ს თანამშრომლები: მანანა ვარძელაშვილი, თეა ონიანი, მარინა თუმანიშვილი და გიორგი ხაბურზანია და მეორეს მხრივ, ფ/პ ლევან მოსახლიშვილი ვადასტურებთ, რომ სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა" („შემსყიდველი") და ფ/პ ლევან მოსახლიშვილს („მიმწოდებელი") შორის დაიდო ხელშეკრულება №3/400 05.12.2016წ., რის საფუძველზეც „მიმწოდებელმა" ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შეასრულა სამუშაო. კერძოდ, სააგენტოს ბიუჯეტის სახსრებით, მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების კომპლექსური პროექტის კვლევითი და ანალიტიკური მომსახურების წინამოსამზადებელი სამუშაოების განხორციელებისთვის, მცხეთის დამცავი ზონების დადგენის დოკუმენტაციის სამართლებრივი ანალიზისა და მართვის უზრუნველყოფა, ხელშეკრულებასთან თანდართული ტექნიკური დავალების შესაბამისად.

მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 2700 (ორი ათას შვიდასი) ლარს.

"მხარეებს" ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ.

<u>ინსპექტირების ჯგუფი:</u>

მანანა ვარძელაშვილი

თეა ონიანი

მარინა თუმანიშვილი

გიორგი ხაბურზანია

# ინსპექტირების დასკვნა

ჩვენს მიერ (მ. ვარძელაშვილი, თ. ონიანი, მ. თუმანიშვილი და გ. ხაბურზანია) შემოწმდა „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა“ და ფ/პ ლევან მოსახლიშვილს შორის 05.12.2016 წ. გაფორმებული N3/400 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება. კერძოდ, “მიმწოდებელმა“ განახორციელა მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების კომპლექსური პროექტის კვლევითი და ანალიტიკური მომსახურების წინამოსამზადებელი სამუშაოების განხორციელებისთვის, მცხეთის დამცავი ზონების დადგენის დოკუმენტაციის სამართლებრივი ანალიზისა და მართვის უზრუნველყოფა, რაც მოიცავდა: ა) სამოქმედო არეალში, კერძოდ: 2006 და 2012 წლებში დადგენილი და 2016 წელს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტით შემოთავაზებული კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების კორექტირებული არეალების ფარგლებში საკადასტრო მონაცემების მოძიებას; ბ) ზემოაღნიშნულ არეალებში მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გადაცემის შესახებ შეძენის პერიოდში დადგენილი დამცავი ზონების სამართლებრივ ანალიზს არსებულ რეჟიმებთან მიმართებაში; გ) სამუშაო ჯგუფის მიერ მითითებულ ადგილებზე საჯარო რეესტრიდან ამონაწერების მიხედვით შემდეგი საკადასტრო მონაცემების დამუშავებას: საკადასტრო კოდი, მიწის ნაკვეთის ფართობი, მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობების ფართობი, მიწის ნაკვეთის ტიპი; დ) სამოქმედო არეალში არსებული მიწის ნაკვეთების მფლობელობის რეტროსპექტიულ სამართლებრივ ანალიზს; ე) მცხეთის დადგენილი დამცავი ზონების დოკუმენტების რესტროსპექტიულ სამართლებრივ ანალიზს, დოკუმენტაციის სამართლებრივ ჭრილში სამართავად.

საბოლოო პროდუქტის სახით, „მიმწოდებელმა“ ეროვნული სააგენტოს ინსპექტირების ჯგუფს წარმოუდგინა განხორციელებული სამუშაოების ანგარიში, მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებისთვის: სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი, ჯვრის მონასტერი და სამთავროს დედათა მონასტერი - მცხეთის დადგენილი დამცავი ზონების რეტროსპექტიული სამართლებრივი ანალიზითა და სამართლებრივი თვალსაზრისით სამომავლოდ დასაგეგმი ქმედებების მიმართულებით შემუშავებული რეკომენდაციებით.

მიღებული მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში ხარისხიანად არის შესრულებული.

<u>ინსპექტირების ჯგუფი:</u>

მანანა ვარძელაშვილი

თეა ონიანი

მარინა თუმანიშვილი

გიორგი ხაბურზანია